ბიბლიოთეკა
ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
15 იანვარი
1940 წ.
№ 12 (5713)
ფასი 10 კაპ.

ყინულმჭრელი „სედოვი"
ბადიგინს, ტროფიმოვს
ყინულმჭრელ „სედოვის" ეკიპაჟს

მოგესალმებით თქვენ და „სედოვის" მთელ ეკიპაჟს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში გმირული დრეიფის სიძნელეთა წარმატებით დაძლევის გამო.

ველით თქვენს დაბრუნებას მოსკოვში.

მხურვალე სალამი!

ი. სტალინი **ვ. მოლოტოვი**

ყინულმჭრელი „ი. სტალინი"
პაპანინს, ბელოუსოვს
ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ეკიპაჟს

მიიღეთ ჩვენი მადლობა გრენლანდიის ზღვის ყინულებიდან ყინულმჭრელ „სედოვის" გამოყვანის დავალების პირველი ნაწილის ბრწყინვალედ შესრულებისათვის.

მხურვალე სალამი!

ი. სტალინი **ვ. მოლოტოვი**

დიდება გმირ სედოველებს!

მომხიბლავი ეპოპეა დამთავრდა. თხუთმეტმა სახელოვანმა პოლარელმა მეზღვაურმა, რომლებმაც ორ წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყეს თავიანთი გმირული დრეიფი ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვით", ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს არქტიკის მკაცრ სტიქიონზე. მთელი საბჭოთა ხალხი დღეს აღტაცებით შეხვდება ცნობას, რომ სედოველებმა დაამთავრეს თავიანთი ლეგენდარული მოგზაურობა, რომ მათ შეეგება მძლავრი სახაზო ყინულმჭრელი „ი. სტალინი" და რომ ისინი ახლა ამ ყინულმჭრელის ეკიპაჟთან ერთად იმყოფებიან. მთელ მსოფლიოს კვლავ შეუძლია დარწმუნდეს, თუ რა ბუმბერაზული ძალა აქვს საბჭოთა ხალხს, რომელიც კაცობრიობის ყველაზე თამამ ოცნებებს ანხორციელებს ცხოვრებაში.

თხუთმეტი გმირი სედოველი თითქმის 27 თვის წინათ ჩაება უთანასწორო ბრძოლაში მკაცრ არქტიკასთან. მამაც ადამიანთა ეს რაზმი ძნელ და სახიფათო გზას გაუდგა არა რაიმე რეკორდის მისაღწევად, არა ძლიერ განცდათა სიყვარულის გამო, არა პირადი სარგებლობისათვის, არამედ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების კეთილშობილური მიზნის განსახორციელებლად, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების გულისათვის, საერთოსაკაცობრიო პროგრესის გულისათვის. ვერც პურგის ზუზუნმა, ვერც ყინულოვანი მინდვრების მსხვრევის გრიალმა, ვერც ჩრდილოეთის სასტიკმა ყინვებმა, ვერც გრძელმა პოლარულმა ღამეებმა — ვერაფერმა ვერ შეარყია ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი, ჩვენი ხალხის ყველა საგმირო წამოწყებათა სულის ჩამდგმელის — დიდი სტალინის მიერ საგმიროდ აღფრთოვანებული თხუთმეტი საბჭოთა პატრიოტის ფოლადისებური ნებისყოფა. სტალინის სახელით აღფრთოვანებულებმა დაიწყეს თავიანთი ძნელი გზა სახელოვანმა სედოველებმა, და მათთვის ეს სახელი ჩაუქრობელი მნათობი იყო მათი გმირული დრეიფის მთელი ხნის განმავლობაში!

ლაპტევების ზღვა, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ცენტრალური ნაწილი, გრენლანდიის ზღვა — ასეთია ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვის" გრანდიოზული გზა. მთელი საბჭოთა ქვეყანა შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ მიაქანებდნენ სედოველებს პოლარული ყინულები უფროდაუფრო შორს—ჩრდილოეთისაკენ, იქით, სადაც ჯერ არასოდეს არცერთი გემი არა ყოფილა. არცერთ საბჭოთა ადამიანს ერთი წამითაც არ ჩაჰქრობია იმის რწმენა, რომ სედოველები გამარჯვებულნი დაბრუნდებოდნენ დიდ მიწაზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ თავიანთ ბედს ყველაზე უფრო გულმშვიდად თვით სედოველები შეჰყურებდნენ. „სედოვის" ერთსულოვანი, ერთიანი ნებისყოფით შედუღებული ეკიპაჟი, ფხიზლად აფასებდა რა თავისი მდგომარეობის მთელს სიძნელეს, თავდადებით ეწეოდა დიდ და მრავალმხრივს სამეცნიერო მუშაობას, მზრუნველობით იცავდა თავის გემს პოლარული ყინულების იერიშებისაგან. საბჭოთა ადამიანები შეეჩვივნენ „სედოვიდან" მიღებულ ლაკონიკურ რადიოგრამებს: „გემზე ყველაფერი რიგზეა". ეს გულდამშვიდებული რწმენა, ყველა ჩვენი უძნელესი ექსპედიციისა და გადაფრენისათვის ესოდენ ჩვეულებრივი, ყველაზე უკეთ ახასიათებს სედოველთა მამაც კოლექტივს.

რა წარმოშობს ამ რწმენას ადამიანებში? სად არის ის წყარო, რომლიდანაც თხუთმეტი მამაცი ადამიანი ძალას იკრეფდა სტიქიონთან წარმატებითი ბრძოლისათვის? ეს წყაროა სამშობლოს სიყვარული, მისი ძლიერებისადმი რწმენა. სედოველებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუ უბედურება დატრიალდებოდა, საბჭოთა ხალხი დახმარებას არ მოაკლებდა მათ. მათ შეეძლოთ გულდამშვიდებით ემუშავნათ, ვინაიდან ისინი ყოველდღე გრძნობდნენ საყვარელი სამშობლოს ალერსიან მზრუნველობას და მხურვალე სუნთქვას. ეს სუნთქვა ყოველ ყინულოვან ზღუდეს ატანდა, ყოველ მანძილს სძლევდა და ათბობდა სამშობლოს მამაც შვილებს. მათ გულში მუდამ ღვივოდა ის რწმენა, რის შესახებაც კარგად სთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ვ. ვოდოპიანოვმა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მონაწილეთა დაბრუნებას მოსკოვში:

— როდესაც გაფრენისათვის ვემზადებოდი, — სთქვა მან, — მეკითხებოდნენ: „როგორ გაფრინდები პოლუსზე და როგორ დაეშვები იქ? უეცრად რომ მანქანა გაგიტყდეს—ფეხით ხომ შორს მოგიხდება სიარული?" მე ვეუბნებოდი, რომ დავეშვები. თუ მანქანა გამიტყდა, ფეხით არ წავალ, რადგან ზურგს მიმაგრებს ძალა, სიმძლავრე: ამხანაგი სტალინი კაცს არ მიატოვებს!

მამაცი საბჭოთა მფრინავის ამ უბრალო სიტყვებში გაისმა ის დიდი სიმართლე, რომელიც საბჭოთა ადამიანებს ძალასა და სიმხნევეს აძლევს, რაც უნდა მძიმე მდგომარეობაში იყოს. ახლაც ამ სიტყვებმა ახალი ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვეს სედოველთა ბედისათვის ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ მამობრივ მზრუნველობაში. ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ყოველდღე დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს ჩვენი სამშობლოს თხუთმეტი გულადი შვილის მამაცურ ბრძოლას. ორჯერ —დრეიფის პირველ და მეორე წლისთავზე — მიუტანა რადიომ სედოველებს გამამხნევებელი სტალინური სიტყვები.

„დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ადამიანების ბოლშევიკური სიმტკიცით გადალახავთ ყველა სიძნელეს თქვენს გზაზე და გამარჯვებულნი დაბრუნდებით სამშობლოში", — სწერდნენ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით, ამხანაგები სტალინი და მოლოტოვი სახელოვან ეკიპაჟს „გიორგი სედოვის" დრეიფის პირველ წლისთავზე.

„გისურვებთ ჯანმრთელობას, ყველა გაჭირვების ძლევამოსილად დაძლევას, გისურვებთ დაბრუნდეთ არქტიკის სიძნელეებთან ბრძოლაში გამოწრთობილნი", — სწერდნენ ამხანაგები სტალინი და მოლოტოვი სედოველებს მათი დრეიფის ორი წლისთავზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულება „გ. სედოვის" ეკიპაჟისადმი ახალ ძალებს ჰმატებდა მას სიძნელეებთან ბრძოლაში, აღაფრთოვანებდა მას.

როგორც კი მიღებულ იქნა ჩრდილოეთიდან პირველი სიგნალები იმის შესახებ, რომ „გ. სედოვის" დრეიფი დასასრულს უახლოვდება, პარტიამ და მთავრობამ ზომები მიიღეს „გ. სედოვის" შესახვედრად და ყინულებიდან გამოსაყვანად.

— არაფერი გამოგვეპაროს,—ყველაფერი თავის დროზე გავაკეთოთ, — უთხრა ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა კავშირის გმირს ი. დ. პაპანინს მასთან ერთერთი შეხვედრის დროს.

მურმანსკიდან „გ. სედოვის" შესახვედრად გავიდა საუკეთესო საბჭოთა ყინულმჭრელი, ჩვენი არქტიკული ფლოტის ფლაგმანი „ი. სტალინი". ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ეკიპაჟი, აღფრთოვანებული სურვილით, რომ პირნათლად შეესრულებინა სტალინის საპატიო დავალება, შეუდგა ყინულებთან ბრძოლას. იგი ამსხვრევდა და ლეწავდა თავის გზაზე ყინულის სამმეტრიან ზღუდეებს და ძალღონის უდიდესი დაძაბვით მიაღწია გმირულ გემამდე, პირნათლად შეასრულა სტალინის საპატიო დავალება.

გაივლის კიდევ რამდენიმე დღე და სახელოვანი სედოველები დიდ მიწაზე იქნებიან. ამჟამად ჯერ კიდევ ძნელია სედოველების მიერ შესრულებულ მეცნიერულ სამუშაოთა შედეგების სავსებით შეფასება. მაგრამ მათი ლაკონიკური რადიოგრამების მიხედვითაც კი ჩანს, რომ მათ ახალი, უაღრესად ძვირფასი განძი შესძინეს არქტიკულ მეცნიერებას. სედოველებმა რამდენიმე ათეულჯერ მოახდინეს წყლის გაზომვა დიდ სიღრმეზე, შეისწავლეს ოკეანის სიღრმეები თავიანთ გზაზე, ჩაატარეს მრავალი დაკვირვება დედამიწის მაგნეტიზმის ელემენტებზე, შეასრულეს სხვადასხვაგვარი ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური გამოკვლევანი და ა. შ. „გ. სედოვის" ეკიპაჟის მუშაობის წყალობით მთელი მსოფლიო მნიშვნელოვნად გაიფართოვებს იმ კანონების ცოდნას, რომელნიც განაგებენ პოლარულ ზღვებში ყინულთა განლაგებას, და, მაშასადამე, ახალ იარაღს მიიღებს მათთან საბრძოლველად. ეს საბჭოთა პოლარელების არმიას დაეხმარება იმაში, რომ უკეთ შეასრულონ პარტიის XVIII ყრილობის მიერ მათ წინაშე დასმული ისტორიული ამოცანა — მესამე ხუთწლედში ჩრდილოეთის საზღვაო გზა გადააქციონ ნორმალურად მოქმედ მაგისტრალად, რომელიც უზრუნველჰყოფს შორეულ აღმოსავლეთთან გეგმაშეწონილ კავშირ-ურთიერთობას.

— ვინ არ იცის,—ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის სიტყვაში უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში,—რომ პაპანინმა და პაპანინელებმა თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში მოდრეიფე ყინულზე გზადაგზა, ადვილად დააყენეს თავდაყირა ძველი წარმოდგენა არქტიკაზე, როგორც მოძველებული, და შეჰქმნეს ახალი, რომელიც შეესაბამება ნამდვილი მეცნიერების მოთხოვნებს?

სედოველებმა, ისე როგორც გმირმა პაპანინელებმა, თავიანთი საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს იმ ცოდნის გაფართოებაში, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ცენტრალური ნაწილის შესახებ, აგრეთვე ხელი შეუწყეს არქტიკაზე ახალი წარმოდგენის შექმნას, რომელიც შეესაბამება ნამდვილი მეცნიერების მოთხოვნებს.

საბჭოთა ხალხი მოუთმენლად ელის თავისი სახელოვანი შვილების—ლეგენდარული დრეიფის გმირების დაბრუნებას. „გ. სედოვის" მამაცი კაპიტანის — კონსტანტინე ბადიგინის, პოლიტნაწილში მისი თანაშემწის დ. ტროფიმოვის, ახალგაზრდა ჰიდროგრაფ ვ. ბუინიცკის, კაპიტანის უფროსი თანაშემწის ა. ეფრემოვის, მეორე მექანიკოსის ს. ტოკარევის, მესამე მექანიკოსის ვ. ალფეროვის, რადისტების ა. პოლიანსკისა და ნ. ბეკასოვის, ბოცმან დ. ბუტორინის, მემანქანეების ი. ნეძვეცკისა და ნ. შარიპოვის, გემის ექიმ ა. სობოლევსკის, მატროს ე. გამანკოვის, ცეცხლფარეშ ი. გეტმანის, მზარეულ პ. მეგერის სახელები—სედოველთა სახელოვანი კოლექტივის ყველა წევრის სახელები სამუდამოდ შევა არქტიკის ძლევამოსილი დაპყრობის ისტორიაში. სედოველთა უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. ბევრი მათგანი აღზრდილია ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ. საბჭოთა ხალხმა უკვე დიდად შეაფასა მათი გმირობა და სამშობლოს ერთგულება. მურმანსკის ოლქის მშრომელებმა ყველა სედოველი თავიანთ დეპუტატებად აირჩიეს მურმანსკის საქალაქო ან საოლქო საბჭოებში.

ყინულმჭრელი „გ. სედოვის" ეკიპაჟმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა. სახელი და დიდება მამაც გმირებს!

ბოლშევიკური სალამი არქტიკის სტიქიონის მძლევლებს, რომლებმაც მთელს მსოფლიოს უჩვენეს სულის სიმტკიცის, მამაცობის, თავგანწირვის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების ახალი ნიმუში!

„პრავდის" მოწინავე, 14/I.

ოპერატიული ცნობა
ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

14 იანვრის განმავლობაში **მურმანსკის, უხტის** და **რებოლის** მიმართულებით მოქმედებენ მზვერავები და ცალკეულ უბნებზე დროგამოშვებით სწარმოებს თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა. **პეტროზავოდსკის** მიმართულებით გრძელდებოდა ქვეითი ჯარის ნაწილების შეტაკება. **კარელიის** ყელზე დროგამოშვებით სწარმოებს საარტილერიო სროლა და მოქმედებენ მზვერავი რაზმები.

ჩვენმა ავიაციამ რამდენიმე საზვერავი ფრენა მოაწყო.

ყინულმჭრელ „სედოვის"
კაპიტანს ამხ. ბადიგინს

გილოცავთ თქვენ და ყინულმჭრელის მთელს პირად შემადგენლობას გმირული დრეიფის წარმატებით დამთავრებას. გისურვებთ მშობლიურ ნაპირებზე მშვიდობით გადმოსვლას.

ნ. კუზნეცოვი,
სამხედრო საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი.

ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის" გმირული ეკიპაჟი. მარცხნივ — ყინულმჭრელის კაპიტანი კ. ს. ბადიგინი. ზედა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): უფროსი მექანიკოსი და პარტორგი დ. გ. **ტროფიმოვი**, კაპიტანის უფროსი თანაშემწე ა. გ. **ეფრემოვი**, მეორე მექანიკოსი ს. დ. ტოკარევი, მესამე მექანიკოსი ვ. ს. ალფეროვი, უფროსი რადისტი ა. ა. პოლიანსკი, რადისტი ნ. მ. ბეკასოვი, ბოცმანი დ. პ. ბუტორინი. მეორე რიგში — ჰიდროგრაფი ვ. ხ. ბუინიცკი, ექიმი ა. პ. სობოლევსკი, ცეცხლფარეში ი. ი. გეტმანი, მზარეული პ. ვ. მეგერი, მემანქანე ნ. ხ. შარიპოვი, პირველი კლასის მემანქანე ი. მ. ნეძვეცკი და პირველი კლასის მეზღვაური ე. ი. გამანკოვი.

მოსკოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—
ამხანაგ სტალინს
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს—
ამხანაგ მოლოტოვს

პირველი ნაწილი თქვენი დავალებისა, რომ გრენლანდიის ზღვის ყინულებიდან გამოვიყვანოთ მოდრეიფე ყინულმჭრელი გემი, „გიორგი სედოვი", შესრულებულია. 1940 წლის 13 იანვარს, 12 საათსა და 07 წუთზე, ყინულმჭრელი „ი. სტალინი" მიადგა ყინულმჭრელ გემ „გიორგი სედოვს". გემის ეკიპაჟის ყველა წევრი ჯანსაღადაა. შევუდექი დავალების მეორე ნაწილის შესრულებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. პაპანინი.

ყინულმჭრელი „ი. სტალინი", გრენლანდიის ზღვა.
მიღებულია 1940 წლის 13 იანვარს.

მხურვალე სალამი გმირ ეკიპაჟს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მხურვალედ ულოცავს „სედოვის" გმირ ეკიპაჟს ისტორიაში უმაგალითო დრეიფის დამთავრებას, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობები შესძინა მეცნიერებას და რომელმაც მთელი მოწინავე კაცობრიობის აღტაცება და პატივისცემა დაიმსახურა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, აკადემიკოსები: ვ. ლ. კომაროვი, ო. ი. შმიდტი, ე. ა. ჩუდაკოვი, ა. ნ. ბახი, ვ. პ. ნიკიტინი, ა. მ. დებორინი, პ. ი. სტეპანოვი, ვ. ნ. ობრაზცოვი.

(საკდესი).

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

დღეს 13 იანვარს, 12 საათსა და 07 წუთზე არქტიკული ფლოტის ფლაგმანი, ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი", ასრულებდა რა პარტიისა და მთავრობის დავალებას, მოადგა ჩვენს ხომალდს. „სედოვის" დრეიფი, რომელიც 812 დღეს გრძელდებოდა, დამთავრებულია.

ჩვენ უდიდესი სიხარულის გრძნობით შევხვდით საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ჩვენმა საყვარელმა სამშობლომ, ჩვენმა პარტიამ, მთავრობამ და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, გამოგზავნეთ არქტიკის მაღალ განედებში, რათა გადაგვერჩინეთ ყინულების ტყვეობიდან. მთელი დრეიფის მანძილზე ჩვენ ვგრძნობდით თქვენს მუდმივს ზრუნვას, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ. ერთ წუთსაც არ დაგვიკარგავს რწმენა, რომ ჩვენი ნასხნობა ყინულებში კეთილად დამთავრდებოდა. ჩვენ არავითარი საფრთხე არ გვაშინებდა, ვიცოდით, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებდა ჩვენი ძლიერი სამშობლო, რომელიც ყოველ წამს მოვიდოდა ჩვენთან დახმარების აღმოსაჩენად.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, გვაღფრთოვანებდა უაღრესად მძიმე წუთებში, თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი ჩვენ მივდიოდით ყოველი სიძნელის გადასალახავად და ვძლევდით მას. სამშობლოში ვბრუნდებით ჩვენი ხომალდით, რომელიც, სასტიკი სტიქიონის მთელი იერიშების მიუხედავად, შევინარჩუნეთ. ჩვენ ვბრუნდებით დიდ მიწაზე, ისე, რომ აღსავსენი ვართ ძალით და მზად ვართ ვიმუშაოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი მეცნიერების სასარგებლოდ, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სასარგებლოდ, რომლისთვისაც უცხოა დამარცხებანი. მგზნებარე სალამი თქვენ და დიდი მადლობა ზრუნვისათვის, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ.

„სედოვის" ეკიპაჟი: **ბადიგინი, მეგერი, შარიპოვი, გამანკოვი, ბუტორინი, ტროფიმოვი, პოლიანსკი, ეფრემოვი, ბუინიცკი, ალფეროვი, ბეკასოვი, სობოლევსკი, გეტმანი, ტოკარევი, ნეძვეცკი.**

მიღებულია 1940 წლის 13 იანვარს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

I. საბჭოთა კავშირ-შვეციის და საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მთავრობის ყურადღება მიიპყრო ზოგიერთმა ფაქტებმა, რომელთაც ადგილი აქვთ შვეციასა და ნორვეგიაში. ორივე ქვეყნის მთავრობებთან ახლო მდგომმა პრესის ორგანოებმა და ზოგიერთმა ოფიციალურმა პირმა შვეციისა და ნორვეგიის ხელისუფალთა წაყრუებითა და დახმარებით დაიწყეს ფართო კამპანიის გაჩაღება სსრ კავშირის წინააღმდეგ და ხელი მიჰყვეს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეუთავსებელია ერთისა და მეორე ქვეყნის მთავრობის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკასთან.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობამ დაავალა თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს შვეციასა და ნორვეგიაში სათანადო წარდგინება გაეკეთებინათ ორივე ქვეყნის მთავრობათათვის.

5 იანვარს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციაში ამხ. კოლონტაიმ განცხადება გადასცა საბჭოთა მთავრობის სახელით შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ გიუნტერს. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო:

„მთელი დეკემბრის განმავლობაში საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი წრეები და პრესა მთავრობასთან ახლოს მდგომ გაზეთ „სოციალ-დემოკრატენის" მეთაურობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწეოდნენ შეუწყნარებელ კამპანიას, რომლის ახსნაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვეცია ომის მდგომარეობაში იქნებოდა სსრ კავშირთან ანდა მას სსრ კავშირთან ომის სამზადისი ექნებოდა".

შემდეგ სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადება აღნიშნავდა, რომ შვეციის პრესაში ადგილს პოულობს აშკარა მოწოდება ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმის მოთხოვნა, რომ შვეცია იარაღით ჩაერიოს ომში რიუტი-ტანერის მთავრობის მხარეზე სსრ კავშირის წინააღმდეგ.

აღნიშნულ კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ გართულება გამოიწვიოს სსრ კავშირსა და შვეციას შორის, შვეციის მთავრობა არ ეწინააღმდეგება. კიდევ მეტიც, ზოგიერთი ოფიციალური პირი აშკარად იღებს მონაწილეობას რიუტი-ტანერის მთავრობისათვის სამხედრო დახმარების მოწყობაში. 7 დეკემბრისათვის, შვეციის ხელისუფალთა მფარველობით, შვეციის მთელ რიგ ქალაქებში გახსნილი იყო დაახლოებით 47 შემგროვებელი ბიურო. ამ ბიუროების მიერ შეგროვებულ „მოხალისეთა" რაოდენობა ათასობით აღირიცხება. თანახმად ზოგიერთი ცნობისა, რომელიც 28 დეკემბერს შეეხება, შვეციიდან ფინეთში 10 ათასამდე ასეთი „მოხალისე" ჩავიდა. ამის შემდეგ აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ და ცენტრალური შვეციიდან ფინეთს „მოხალისეთა" ორი კორპუსი გაემგზავრა. მათი საერთო სარდლობა იკისრა შვეციის გენერალმა ერნსტ ლინდერმა.

შვეციის პრესის ხსენებულ კამპანიას, სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისაკენ მოწოდებას და შვეციის ხელისუფალთა შემწეობით „მოხალისეთა რაზმების" აშკარა შედგენას, — უნდა დაემატოს ის, რომ რიუტი-ტანერის მთავრობას უშუალოდ ამარაგებენ იარაღით შვეციიდან და ნებადართულია სამხედრო მომარაგების ყველა სახის ტრანზიტი ფინეთში შვეციის ტერიტორიაზე გატარებით.

სსრ კავშირის შვეციელი სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ შემდეგნაირად თავდებოდა:

„სსრ კავშირის მთავრობა შვეციის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს ზემოთ მოყვანილ ფაქტებს და შვეციის ხელისუფალთა იმ მოქმედებას, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ. სსრ კავშირის მთავრობას დროულად მიაჩნია მიუთითოს შვეციის მთავრობას, რომ შვეციის ხელისუფალთა ეს მოქმედება არა მარტო ეწინააღმდეგება შვეციის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, არამედ მას შეუძლია არასასურველი გართულება გამოიწვიოს შვეციისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში".

იმავე 5 იანვარს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. პლოტნიკოვმა სსრ კავშირის მთავრობის სახელით გადასცა აგრეთვე განცხადება ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ კუტს. ამ განცხადებაში ნათქვამი იყო:

„ამ უკანასკნელ ხანებში მთავრობასთან ახლო მდგომი წრეები ნორვეგიაში და ნორვეგიის პრესა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეწევიან გააფთრებულ კამპანიას, რომელსაც მოჰყვება მხოლოდ ზიანი და ურთიერთობის გართულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ნორვეგიას შორის".

შემდეგ სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ პირდაპირ მოწოდებასთან ერთად, ნორვეგიის პრესაში ადგილს პოულობს იმის მოთხოვნა, რომ ნორვეგიის მთავრობამ სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს რიუტი-ტანერის მთავრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ზოგიერთი ოფიციალური პირი, როგორც ბ-ნი ხამბრო, სტორტინგის პრეზიდენტი, კაპიტან - გენერალი ორფლიტი და სხვები, ხელს უწყობენ ამ კამპანიას და აქტიურ მონაწილეობასაც კი იღებენ მასში. ნორვეგიაში აშკარად ეწყობა შემგროვებელი კომიტეტები ომის გასაჩაღებლად ფინეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის წინააღმდეგ. არის ცნობები, რომ ფინეთისათვის ეწყობა ოსლოს ჯგუფის ქვეყნების „მოხალისეთა" განსაკუთრებული დივიზია. ამავე დროს, ნორვეგიის ხელისუფალთა მფარველობით, რიუტი-ტანერის მთავრობას იარაღით ამარაგებენ ნორვეგიიდან და ფინეთში ნორვეგიის ტერიტორიაზე გატარებით სხვადასხვა სახის საომარი საჭურველი მიდის ტრანზიტით. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადება ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„სსრ კავშირის მთავრობა ნორვეგიის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნულ ფაქტებს და ნორვეგიის ხელისუფალთა მოქმედებას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სსრ კავშირის მთავრობას გადაუდებლად მიაჩნია განუცხადოს ნორვეგიის მთავრობას, რომ ნორვეგიის ხელისუფალთა აღნიშნული მოქმედება არა მარტო უხეშად ეწინააღმდეგება ნორვეგიის მთავრობის მიერ გამოცხადებულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, არამედ მას შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი გართულებანიც და დაარღვიოს ნორმალური ურთიერთობა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის".

6 იანვარს ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა კუტმა გადასცა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ნორვეგიაში ამხ. პლოტნიკოვს ნორვეგიის მთავრობის პასუხი.

თავის პასუხში ნორვეგიის მთავრობა აღნიშნავს, რომ მისთვის წაყენებული ბრალდებანი ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ დამყარებულია არასწორ ინფორმაციაზე. საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება ნორვეგიის პრესაში გამომდინარეობს კერძო პირთაგან და მას პასუხისმგებელი წრეები არ იწონებენ. რაც შეეხება შემგროვებელი კომიტეტების შექმნას ნორვეგიაში, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ნორვეგიის მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევს მათ. უცხოეთის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურისათვის ძალების შეგროვება ნორვეგიაში კანონით აკრძალულია და ამიტომ ნებადართული არ იქნება. ნორვეგიის ხელისუფალნი ხელს არ უწყობენ აგრეთვე იარაღისა თუ სამხედრო საჭურვლის გაგზავნას ფინეთში. თუ ცალკეული პირნი ნებაყოფლობით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ომში მონაწილეობის მისაღებად, ნორვეგიის მთავრობის აზრით, ეს ნეიტრალიტეტის დარღვევას არ წარმოადგენს. საერთაშორისო უფლებას არ ეწინააღმდეგება არც იარაღის გატარება ნორვეგიაში. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ნორვეგიის მთავრობამ იცის, დღემდე საომარი მასალის შეზიდვას ფინეთში ნორვეგიის ტერიტორიაზე გატარებით ადგილი არ ჰქონია, ხოლო ამგვარი სახის მომარაგების კერძო გაზიდვა ნორვეგიიდან მხოლოდ მეტად უმნიშვნელო რაოდენობით ხდება.

თავისი პასუხის დასასრულს ნორვეგიის მთავრობა ირწმუნება, რომ იგი „დღემდე იცავდა და მას მომავალშიაც განზრახული აქვს დაიცვას ნეიტრალიტეტი, რომელიც გამოაცხადა მან ომის მიმართ უცხოეთის სახელმწიფოებში. ნორვეგიის მთავრობა იმედოვნებს, რომ მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის მომავალშიაც იარსებებს".

10 იანვარს სსრ კავშირის შვეციელი სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადებას პასუხი გასცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა გიუნტერმაც.

შვეციის მთავრობა თავის პასუხში აცხადებს, რომ შვედი ხალხი მხურვალე სიმპატიით ეპყრობა ფინეთს და ეს სიმპატია თავის გამოხატულებას პოულობს პრესაში. მაგრამ, შვეციის კონსტიტუციის კანონები ხელს უშლის პრესისათვის მინიჭებული თავისუფლების გადამეტებას, —კერძოდ, უცხო სახელმწიფოებისა და მათი წარმომადგენლების შეურაცყოფას. შვეციის მთავრობის აზრით, არც მისი პოზიცია პრესის მიმართ, არც მისი მოქმედება რაიმე სხვა დარგში არ აძლევს საბჭოთა კავშირს იმის საბაბს, რომ შვეციას ბრალდება წაუყენოს. წამოყენებული ბრალდებები ძირითადად არაზუსტ ინფორმაციას ემყარება. კერძოდ, ფაქტებს არ შეესაბამება მტკიცება შვედი მოხალისეების შეგროვების შესახებ. მოხალისეთა შეგროვება ხდება მხოლოდ კერძო ინიციატივით და მათი რიცხვი არ შეესაბამება საბჭოთა მთავრობის მიერ მოყვანილ ციფრებს. შვეციის ხელისუფლების ორგანოები არ უწყობენ ხელს მოხალისეთა შეგროვებას, შვეციის სამსახურის არც ოფიცრები და არც მერიგენი არ ღებულობენ მონაწილეობას ფინეთის ომში როგორც მოხალისენი.

შვეციიდან გატანილი თუ სხვა ქვეყნებიდან ფინეთში ტრანზიტით მიმავალი სხვადასხვა საგნის ტრანსპორტს არ შეუძლია წინააღმდეგობის გამოწვევა. შვეცია ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სავაჭრო ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ფინეთს შეუძლია შეიტანოს შვეციიდან და გამოზიდოს ტრანზიტით შვეციის ტერიტორიაზე გატარებით სხვადასხვა საქონელი, რომელზედაც ფინეთში დიდი მოთხოვნილებაა.

შვეციის მთავრობას არ მიაჩნია შესაძლებლად შესცვალოს ასეთი მდგომარეობა და გააძნელოს კომერციული საქონელბრუნვა შვეციასა და ფინეთს შორის.

შვეციის მთავრობის პასუხი თავდებოდა იმედის გამოთქმით, რომ „ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი გაჰფანტავენ იმ გაუგებრობას, რაც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო შვეციასა და სსრ კავშირს შორის, და დაუმტკიცებენ სსრ კავშირის მთავრობას, რომ არ არსებობს საფუძვლები შვეციის მთავრობისათვის ბრალდებათა წასაყენებლად. შვეციის მთავრობა არ ეწევა აგრესიულ პოლიტიკას სსრ კავშირის წინააღმდეგ და სურს თავიდან აიცილოს ყოველივე გაუგებრობანი საბჭოთა კავშირსა და შვეციის ურთიერთობაში".

ნორვეგიისა და განსაკუთრებით კი შვეციის მთავრობის მიერ სსრ კავშირის მთავრობის წარდგინებებზე გაცემული პასუხი არ შეიძლება ცნობილ იქნას სავსებით დამაკმაყოფილებლად. ნორვეგიისა და შვეციის მთავრობანი არ უარჰყოფენ ყველა ფაქტს, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ დაარღვიეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. შვეციისა და ნორვეგიის მთავრობათა ასეთ პოზიციაში საფრთხე იმალება. იგი მოწმობს, რომ შვეციისა და ნორვეგიის მთავრობები სათანადო წინააღმდეგობას არ უწევენ იმ სახელმწიფოთა ზემოქმედებას, რომელნიც ცდილობენ ჩაითრიონ შვეცია და ნორვეგია ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ.

2. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის შესახებ

გუშინ, 14 იანვარს, უნგრეთის მოსკოველმა ელჩმა ბ-ნმა კრიშტოფიმ ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი და მისცა მას შემდეგი ოფიციალური განცხადება:

ამ უკანასკნელ ხანებში ტენდენციური ხმები ვრცელდება იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამასწინათ მოხდა ვენეციაში უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩაკისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს შორის. ამტკიცებენ, თითქოს იტალია-უნგრეთის ეს მოლაპარაკება მიმართული ყოფილიყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უნგრეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია კატეგორიულად უარჰყოს ეს მტკიცება. მას მართებულად მიაჩნია დასძინოს, რომ ვენეციაში არ განხილულა რომელიმე სახელმწიფოთა ბლოკის მოწყობის საკითხი.

ბ-ნმა კრიშტოფიმ სთხოვა შეატყობინოს საბჭოთა კავშირის მთავრობას ზემომოყვანილი ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტინგი ყინულმჭრელ „ი. სტალინზე“

ყინულმჭრელი „ი. სტალინი“, 14 იანვარი (საკდესის რადიო). გუშინ ყინულმჭრელ „ი. სტალინზე“ შესდგა მიტინგი საბჭოთა ორი შესანიშნავი ყინულმჭრელის ეკიპაჟთა სასიხარულო შეხვედრის გამო. პირველად ილაპარაკა ამხ. პაპანინმა. მან წარმოსთქვა მოკლე მგზნებარე სიტყვა.

— ჩვენო მშობლიურნო, ამხანაგო სედოველებო! ბოლშევიკების სახელოვანმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გამოგვგზავნა აქ, გრენლანდიის ზღვის ყინულებში, რათა ყინულის ტყვეობიდან გიხსნათ თქვენ, საბჭოთა 15 პატრიოტი, ჩვენი სამშობლოს მამაცი შვილნი და დაგუბრუნოთ მშობლიურ ქვეყანას საბჭოთა გემი.

ძვირფასო ამხანაგო სედოველებო! თქვენი შესანიშნავი თავგანწირული მუშაობით თქვენ ერთხელ კიდევ დაგვანახვეთ, თუ რის უნარი შესწევთ საბჭოთა ადამიანებს, რომელნიც აღიზარდნენ ისეთ ქვეყანაში, სადაც შრომა ღირსების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ გადაიქცა.

თქვენ ვერ შეგაჩერათ ვერც ქარიშხალმა, ვერც პურგამ, ვერც ყინულების შეკუმშვამ. თქვენ მიდიოდით წინ სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი და ყოველდღე გრძნობდით სიყვარულსა და დიდ ზრუნვას ამხანაგ სტალინისას, რომელიც არსად და არასოდეს არ მიატოვებს საბჭოთა ადამიანს. ადამიანზე ასეთი დიდი ზრუნვა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში — სოციალიზმის ქვეყანაში. ისევე, როგორც ჩვენ მოდრეიფე ყინულზე, გათბობდათ თქვენ ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს სიყვარული თავისი შვილებისადმი. როგორც მზრუნველი და მოსიყვარულე დედა ეპყრობა თავის ბავშვს, ისე ათბობს და უყვარს ადამიანები მძლავრ საბჭოთა ხალხს, ლენინ-სტალინის დიად პარტიას.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყევართ!

გაუმარჯოს ბრძნულ საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს პოლარელთა საუკეთესო მეგობარს, მშობლიურ, მხურვალედ საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს!**

ამ სიტყვებს მიტინგზე შეკრებილნი მქუხარე „ურას“ შეძახილითა და ტაშით ხვდებიან. გაისმის „ინტერნაციონალი“.

შემდეგ გამოდის ამხ. ბადიგინი.

— ყინულმჭრელი გემის „გიორგი სედოვის“ მთელი ეკიპაჟის სახელით, —ამბობს იგი, — გულითად, მგზნებარე სალამს გადმოგცემთ თქვენ, ამხანაგებო! ამ ღირსშესანიშნავ დღეს, როდესაც ჩვენ ორწლიანი ყინულოვანი დრეიფი დავამთავრეთ, სედოველთა მთელი ფიქრი, მთელი გრძნობა მიმართულია დიდი, საყვარელი და ბრძენი ბელადისადმი, ძვირფას ამხანაგ **სტალინისადმი.** მთელი დრეიფის განმავლობაში ჩვენ ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს ვგრძნობდით ჩვენდამი ზრუნვას. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ამხანაგი სტალინი ჩვენთან იყო. ბელადის ზრუნვა, ხალხის დიდი სიყვარული ძალას გვინერგავდა, გამარჯვების რწმენას გვაძლიერებდა, მათ შეგვაძლებინეს ჩვენ, საბჭოთა ჩვეულებრივ ადამიანებს, პირნათლად დაგვემთავრებინა ჩვენი გზა.

უსაზღვრო მადლობა დიდ სტალინს და მთელ საბჭოთა ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს—ჩვენს საყვარელ **სტალინს!**

არქტიკის ყინულოვან სივრცეში კვლავ ჰქუხს მძლავრი „ურა“ საზეიმოდ გაისმის პროლეტარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

შეუდგნენ დავალების მეორე ნაწილის შესრულებას

ყინულმჭრელი „ი სტალინი“, 14 იანვარი (საკდესის რადიო). სედოველებთან შეხვედრის რამდენიმე საათის შემდეგ შევუდექით პარტიისა და მთავრობის დავალების მეორე ნაწილის შესრულებას.

ყინულმჭრელ „ი. სტალინიდან“ „სედოვის“ ეკიპაჟის შემადგენლობისათვის გამოყოფილია 21 კაცი.

ჩვენმა მექანიკოსებმა „სედოვის“ მექანიკოსებთან ერთად დაათვალიერეს „სედოვის“ მექანიზმები და კორპუსი. ამჟამად ყინულს ვაცლით გემის ხრახნებსა და საჭეს. ყველა ჩვენგანის მთავარი საზრუნავი დღეს ის არის, თუ როგორ გავანთავისუფლოთ გემი ყინულის ბუდისაგან, რომელშიაც იგი ჩაყინულა. იმ ყინულის სისქე, რომლითაც „სედოვი“ ცურავს, 4-5 მეტრს უდრის. მისი ნაწიბური გემის გვერდებიდან 3-4 მეტრ მანძილზე იმყოფება. გემის კორპუსის წყალქვეშა ნაწილისათვის ყინულის ბუდის შემოცლა ტექნიკურად რთული ოპერაციაა, მას დიდი ხანი დასჭირდება.

არა ნაკლებ დიდ ზრუნვას მოითხოვს გემის საჭე მეურნეობაც. უნდა ითქვას, რომ ვცდილობთ გავაკეთოთ ყველაფერი, რათა საჭე ამუშავდეს, მაგრამ, ალბათ, ჩვენ მაინც ბუქსირით წამოვიყვანთ „სედოვს“. გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ შევალთ ბარენცბურგში, რათა ჩვენმა მყვინთავებმა დაათვალიერონ „სედოვის“ წყალქვეშა ნაწილი.

დღეს დავამთავრებთ „სედოვის“ დატვირთვას ქვანახშირით, სურსათითა და სასმელი წყლით. სურსათში არის აგრეთვე ახალი ხილი: მანდარინი, ვაშლი და მსხალი.

ჩვენი კინო-გადამღები ჯგუფი მუშაობს გემში, იღებს ყველა მისი სადგომის სურათს.

სედოველებმა დიდი ყურადღებითა და ინტერესით ნახეს კინოფილმი „თოფიანი კაცი“.

ი. პაპანინი.

ყინულმჭრელი „ი. სტალინი“— პაპანინს, ბელოუსოვს

უსაზღვროდ გვახარებს თქვენ მიერ მთავრობის დავალების პირველი ნაწილის შესრულება. ბოლშევიკური სალამი ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ შესანიშნავ კოლექტივს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გისურვებთ მთავრობის დავალების წარმატებით დამთავრებას და სასიხარულო დაბრუნებას მოსკოვში. მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

შირშოვი, ბალახოვი, შეველიოვი, სტრეკალოვსკი, კრენკელი, ზადოროვი, მაზურუკი.

ლადო კეცხოველი

(დაბადებიდან 64 წლისთავის გამო)



ვალერიან გაფრინდაშვილი

ლადო კეცხოველი

შენ არ გხიბლავდა საოცნებო ღრუბლების ქულა,
გიყვარდა მხოლოდ რომანტიულ პოეტის რაში
ხალხის იარებს განიცდიდი საკუთარ წყლულად,
გაფიცვის რუქას შენ ხაზავდი ქარხნების სვლაში.

მტერზე მეტეხშიც იერიში მიგქონდა გულადს.
შექდა, გრგვინავდა აჯანყება შენს აწვდილ ხმაში.
ვაჟკაცის თვალი გაუსწორე შენ თოფის ლულას—
თითქოს იწვევდი ბოროტებას სასტიკ ბრძოლაში.

გავარდა თოფი. დაიღვარა სისხლი სპეტაკი.
უკანასკნელად ციხის კედელს შენ დაეტაკე.
კვალდაკვალ მოგყვნენ საბრძოლველად ჭაბუკნი
შემდეგ...

თავგანწირულო შევარდენო, გვახსოვხარ დღემდე!
თვითონ ბელადი ვით ღირსეულ გმირს მოგიგონებს
და შენ გიძღვნიან პოეტები ლექსთა სტრიქონებს.

შესანიშნავი რევოლუციონერი—ბოლშევიკი

„სიჭაბუკიდან უკანასკნელ ამოკვნესამდე იგი დაუღალავად იცავდა ადამიანის წმინდა უფლებებს და პროტესტს აცხადებდა ყოველგვარი თვითნებობის და ძალადობის წინააღმდეგ. ვერც ციხის კედლებმა, ვერც კარცერმა ვერ შეასუსტეს მისი ენერგია: ყოველდღე გაისმოდა საპყრობილეში მისი ხმა-მაღალი ძახილი: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას და სოციალიზმს!“

ასე მიმართავდა მშრომელებს რსდმპ თბილისის კომიტეტი ერთ-ერთ პროკლამაციაში ლადო ზაქარიას-ძე კეცხოველის ვერაგულად მოკვლის გამო.

* * *

ვლადიმერ ზაქარიას-ძე კეცხოველი დაიბადა 1876 წ. 2 იანვარს სოფ. ტყვიავში (ყოფ. გორის მაზრა). ლადო 8 წლისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა. 1883 წელს ლადო მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იგი სწავლაში სიბეჯითესა და გულმოდგინებას იჩენდა... ზაფხულობით ლადო სოფ. ტყვიავში იმყოფებოდა. იგი ახლოს იცნობდა გლეხების ყოფაცხოვრებას. მასზე, როგორც მგრძნობიარე ადამიანზე, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა სოფლის სიდუხჭირე, გლეხების აბუჩად აგდება და დამცირება. „ველური თარეშის ეს სურათები ლადოზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდნენ და იწვევდნენ მასში სიძულვილის გრძნობას დამონებლებისადმი — მეფისა, მემამულეებისა და თავად-აზნაურებისადმი“ (ლ. პ. ბერია).

ამხანაგ სტალინს ლ. კეცხოველი გაეცნო და დაუმეგობრდა ჯერ კიდევ გორის სასწავლებელში. ლადო უკვე მესამე კლასში იყო, როდესაც სოსო ჯუღაშვილი საშუალო-მოსამზადებელ კლასში შევიდა. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1891 წელს კეცხოველი შედის თბილისის სასულიერო სასწავლებელში. აქ იგი განსაკუთრებული გატაცებით ეწაფება რევოლუციური ლიტერატურის შესწავლას და ებმება რევოლუციურ მუშაობაში. 1893 წ. 30 ნოემბერს კეცხოველის მეთაურობით ეწყობა სემინარიელთა პირველი კრება, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სემინარიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვის მოწყობის შესახებ. ამ გაფიცვის შედეგად სემინარიიდან გამორიცხეს 87 მოწაფე, ხოლო 23 გარიცხულს და მათ შორის ლ. კეცხოველს აეკრძალა თბილისში ცხოვრება. 1894 წლის შემოდგომაზე ლ. კეცხოველი გაემგზავრა კიევს, სადაც იგი აქტიურად ჩაება კიევის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ წრეების მუშაობაში. 1896 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს და სამი თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს სამშობლოში 2 წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

1897 წლიდან ამხ. კეცხოველი უკვე თბილისშია. იგი შედის „მესამე დასში“.

„1898-1900 წლებში ამხანაგმა სტალინმა ლადო კეცხოველსა და წულუკიძესთან ერთად თბილისის სოციალ-დემოკრატების მუშაობა გადაიყვანა მასობრივ აგიტაციისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის რელსებზე. 1899 წელს თბილისში, ქალაქგარეთ მოწყობილ იქნა მაისობა, რომელზედაც ლადო თავის მგზნებარე სიტყვაში მოუწოდებდა მუშებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისაკენ“ (ლ. პ. ბერია).

1898 წლის დამლევს ლადო კეცხოველი ამხანაგ სტალინის დავალებით აწყობს თბილისის „კონკის“ მუშების გაფიცვას. როგორც ცნობილია, ეს გაფიცვა დამთავრდა 1901 წლის 1 იანვარს მუშების სასარგებლოდ. 1900 წელს თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის დავალებით ლადო იგზავნება ბაქოში. ამხანაგ სტალინის დავალებით ლადო ანმტკიცებს ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და აწყობს არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას. აქ, ამ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა პირველი ბოლშევიკური არალეგალური ქართული გაზეთი „ბრძოლა“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდის საქმეში. გაზეთ „ბრძოლაში“ იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინისა და კეცხოველის მთელი რიგი სახელმძღვანელო სტატიები, რომლებიც რაზმავდა მშრომელ მასებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბაქოს არალეგალური სტამბიდან, ლადო კეცხოველი, უშუალო კავშირს ამყარებს ვ. ი. ლენინთან. ბაქოს არალეგალური ბოლშევიკური სტამბა საზღვარგარეთიდან ლენინის დავალებით იღებდა „ისკრის“ მატრიცებს და ის აქ იბეჭდებოდა რუსეთის სამხრეთის რაიონებისათვის.

ჟანდარმერიის მეძებრებმა ბოლოს მიაგნეს ამ სტამბას. ლ. კეცხოველი 1902 წელს დააპატიმრეს და მოათავსეს ბაქოს ციხეში, საიდანაც 1902 წლის სექტემბრის დამლევს გადმოიყვანეს თბილისის მეტეხის ციხეში.

მეფის ჯალათების მუქარამ, ციხის აუტანელმა რეჟიმმა ვერ გასტეხეს ლ. კეცხოველის რევოლუციური ნებისყოფა. იგი აქაც, ციხეში, განაგრძობდა გაბედულ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

ლადო კეცხოველი მეტეხის ციხიდან შემდეგი სიტყვებით მიმართავდა თავის უფროს ძმას სანდროს:

„აღარა მაქვს უკან გამოსასვლელი გზა. და კიდევაც რომ მქონდეს, დარწმუნებული ვარ ეხლანდელ დროში შენვე პირველი შემომაფურთხებ, თუ გაფიქრებითაც კი გავიფიქრე უკან დახევა და ჩემი აქამომდე წმინდათა-წმინდის გადაქელვა. მაშ ბრძოლა! ბრძოლა!...“

პოლიციის ქოფაკები, აღშფოთებულნი ამ უშიშარი რევოლუციონერის შეუდრეკელი ნებისყოფით, ყოველ ღონეს ხმარობენ, „განსაკუთრებულ ზომებს“ იღებენ ლადოს თავიდან მოსაშორებლად. პოლიციის მესვეურებმა წინასწარ შეადგინეს ლადოს ვერაგული მკვლელობის გეგმა. 1903 წ. 17 აგვისტოს დილის 9 საათსა და 30 წუთზე ლადო კეცხოველს თავის კამერაში ფანჯრიდან ესროლეს ტყვია. ასე საზიზღრად მოჰკლეს უშიშარი რევოლუციონერი.

* * *

ამ შესანიშნავმა რევოლუციონერმა-ბოლშევიკმა თავისი მომხიბლავი და მჩქეფარე ცხოვრება მთლიანად შესწირა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმეს.

მისი კრისტალურად ფაქიზი ცხოვრება და დიდი რევოლუციური მოღვაწეობა მომავალ თაობათათვის საუკეთესო მაგალითად დარჩება. ლადო კეცხოველის სახე მარადიული ჩაუქრობელი შუქით იქნება გაბრწყინებული.

ა. ს. გრიბოედოვი



პესტელისა და რილეევის პირად მეგობარს — ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვს უთუოდ არ ასცდებოდა ის ხვედრი, რაც მისმა ბევრმა თანამემამულემ გაიზიარა, რომ მისი ცხოვრების ჩარხი სხვაგვარად არ დატრიალებულიყო და დეკემბრის აჯანყების საბედისწერო დღეებში ის ათასეული კილომეტრით არ ყოფილიყო მოწყვეტილი ამბოხებულ პეტერბურგს. პირისხლიანი გვირგვინოსანი ეძებდა დეკაბრისტების საეჭვო კავშირებსა და ძაფებს. მან გროზნაში მიაგნო გრიბოედოვს, დააპატიმრა იგი და ფელდეგერის თანხლებით პეტერბურგში გაიხმო. მთავარი შტაბის ჰაუპტვახტში ა. ს. გრიბოედოვი არ მოქცეულა ისე, როგორც მისი დიდებული თანამედროვე ა. ს. პუშკინი მოიქცა, რომელმაც მოსკოვში გულწრფელად განუცხადა მეფეს— მე რომ მაშინ (ე. ი. 1825 წ. დეკემბერში) პეტერბურგში ვყოფილიყავი, შეიძლება მათ მივმხრობოდი... ისინი ხომ ჩემი პირადი მეგობრები იყვნენო.

ა. ს. გრიბოედოვმა იცოდა, რომ ასეთი გულუბრყვილობა ძვირად დაუჯდა პუშკინს. მეფის რისხვის თავიდან ასაცილებლად მან სხვა გზა აირჩია. ის კატეგორიულად უარჰყოფდა ყველა ბრალდებას, რადგან იცოდა, რომ მამხილებელი საბუთი ჟანდარმერიას მის წინააღმდეგ არ გააჩნდა.

— „მე დროის ნებას გავყევი ასე —
მძაგს სიტყვა მონა, და მეც ქვეყანამ
ამიტომ შტაბში ჩამომიყვანა
და როგორც ქრისტე გამაკრა ჯვარზე“.

— სწერდა ხუმრობით ჰაუპტვახტიდან განთავისუფლებული პოეტი. მას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ თვითმპყრობელობას სულ სამი წელი დასჭირდებოდა შურისსაძიებლად.

ახლა უკვე საბოლოოდ დადასტურებულია, რომ ნიკოლოზ I ჯალათური მიზნით გაგზავნა ა. ს. გრიბოედოვი ირანის შაჰის კარზე და, როდესაც 1829 წელს 11 თებერვალს ელჩი ვერაგულად მოჰკლეს, ამას ნიკოლოზ I საგარეო პოლიტიკაში არავითარი გართულება არ გამოუწვევია, წინააღმდეგ ყოველგვარი დიპლომატიური ჩვევებისა.

რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ა. ს. გრიბოედოვი იყო ავტორი შესანიშნავი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“. ამ კომედიის ფართოდ იყენებდნენ დეკაბრისტები მონარქიული წყობილების კრიტიკისთვის.

მკაცრი ირონია და სარკაზმი ამ ნაწარმოებში მიმართული იყო მაშინდელი მოწინავე არისტოკრატიული და ბიუროკრატიული საზოგადოების წინააღმდეგ, სადაც მლიქვნელობა, პირმოთნეობა და სისაძაგლე იყო გამეფებული. გრიბოედოვი დაუზოგავად ამხელდა ამ თვისებების მატარებელ ფამუსოვებს, მოლჩალინებს, სკალოზუბებს, რეპეტილოვებს და ზაგორეცკებს. მათი საზოგადოება ებრძოდა სწავლა-განათლებას „სწავლა—აი, ჭირი!“ ამბობს ფამუსოვი და დასძენს:

„რომ ბოროტება დავსაჯოთ მკაცრად,
ყველა წიგნები ვაქციოთ ნაცრად“!

ჩინისა და პატივის მოსაპოვებლად იმ დროს შექმნილი იყო ნამდვილი ანტიადამიანური მორალი:

„მამამ ანდერძად ეს დამიბარა
— ყველას ვაამო თავდაპირველად,
მინდა თუ არა—განურჩეველად:
სახლის პატრონს, რომ მაამოს უფრო,
სამსახურში კი—ჩემსავე უფროსს,
ეზოს დარაჯებს, მეკარე ხალხსაც,
რომ არ მიღრენდეს, მათ ქოფაკ
ძაღლსაც“.

ამ საზოგადოების მამხილებლად კომედიაში ა. ა. ჩაცკი გვევლინება. ეს—განათლებული ჭკვიანი რუსი ახალგაზრდაა, თავისი ქვეყნის გულწრფელი მოსიყვარულე და კეთილშობილურ მისწრაფებათა თაყვანისმცემელი. ჩაცკი ვერ ურიგდება არსებულ საზოგადოებრივ წყობას და სასტიკად აკრიტიკებს მას. ის მთელი შეგნებით გრძნობს, რომ არსებული წყობა უნდა დაინგრეს, მაგრამ ცხოვრების გარდასაქმნელად მას არ გააჩნია ელემენტარული პროგრამაც კი და ამიტომ არ იცის, რა დადებითი შედეგი მოჰყვება ძველი საზოგადოების დანგრევას. გრიბოედოვმა ამ გმირში საკუთარი ავტოპორტრეტი მოგვცა. ცნობილია, რომ ის გადაჭრით არ ემხრობოდა დეკაბრისტებს, თუმცა ორგანიულად ეზიზღებოდა მონარქიულ-ბიუროკრატიული წყობილება.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რომელმაც დაამსხვრია ის საზოგადოებრივი წყობა, რასაც ა. ს. გრიბოედოვი ამხელდა თავის უკვდავ ნაწარმოებში პოეტის დაბადების 145 წლის თავზე განსაკუთრებული პატივისცემით მოიგონებს მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს.

ა. ბარათელი.

წარმატებით ჩავატაროთ სამხედროვალდებულ მოქალაქეთა მიწერა გასაწვევ უბნებზე

დღეიდან თბილისში იწყება 1921 წელში დაბადებულ მოქალაქეთა და აგრეთვე 1922 წელში დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა გასაწვევ უბნებზე.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მიწერაზე გამოცხადება ეხება 1921 წელში დაბადებულ ყველა მოქალაქეს, 1922 წელში დაბადებულ ყველა იმ მოქალაქეს, რომლებიც საშუალო სკოლებში სწავლობენ. 1920 წელში და უფრო წინა წლებში დაბადებულ ყველა იმ მოქალაქეს, რომლებსაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში გაწვევის ვადა გადადებული ჰქონდათ 1940-1941 წ. წ. პირველ სექტემბრამდე, და აგრეთვე იმ მოქალაქეებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო დღემდე არ მიწერილან გასაწვევ უბნებზე.

მიწერის შემდეგ გაიშლება ფართო მოსამზადებელი მუშაობა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში 1940 წლის გაწვევის წარმატებით ჩასატარებლად.

სამხედროვალდებულ მოქალაქეთა გასაწვევ უბნებზე მიწერის სანიმუშოდ ჩატარებაზეა დამოკიდებული წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევის წარმატება. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამაზე უნდა გაამახვილონ თავიანთი ყურადღება. თავდაცვა - ავიაქიმის, წითელი ჯვრისა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც წვევამდელთა შორის მუშაობის დარგში დღემდე არაფერი გაუკეთებიათ, დროა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები.

მიწერა იწყება. მის უნაკლოდ ჩატარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს და რაისამხედრო კომისარიატებს ეკისრებათ.

სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები დღეს სიხარულით მივლენ მისაწერ პუნქტებზე.

ნ. მარის ინსტიტუტში

15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალურ კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქუჩა, № 3) ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე საკ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტი პროფ. აკაკი შანიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულ ენაში“.

ახალი სახლი საბჭოს ქუჩაზე

თბილისის საქალაქო სამშენებლო ტრესტმა „თბილმშენმა“ დაამთავრა და ამ დღეებში ექსპლოატაციაში გადასცემს ახალ დიდ სახლს, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის.

სახლი მდებარეობს ლენინის რაიონში, საბჭოს ქუჩაზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ბახჩისარაის შადრევანი“ (ტალ. № 92 და 2 აბ. 7 წარმ.), რუსთაველის სახელობის — „ყაჩაღები“ (ტალ. № 91), მარჯანიშვილის სახელობის — „მზის დაბნელება საქართველოში“, მუსკომედია — „ურინ-მაჩინი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „პატრიოტი“, ოქტომბერი — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, დამკვრელი — „უმაღლესი ჯილდო“, კომკავშირელი — „ტრაქტორისტები“, სპარტაკი — „მფრინავები“, ლუქსემბურგის სახ. — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა“, 26 კომ. სახ. — „შორეულ აღმოსავლეთში“, კომინტერნი— „ჩაპაევი“.

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე **პ. რატიანი**

შალვა რადიანი

ეგნატე ნინოშვილის მხატვრული შემოქმედება

(დაბადებიდან 80 წლისთავის გამო).



ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ჩვენთვის მრავალმხრივ არის საყურადღებო. მისი არც ისე დიდი მოცულობის ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც აქტიური საზოგადოებრივი ძალა ისე მოჰყვება მე-19-20 საუკუნეების ქართულ ლიტერატურას.

ეგნატე ნინოშვილის მხატვრული შემოქმედება დიდიხნის მანძილზე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამწვავებული ბრძოლისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანს წარმოადგენდა. მხოლოდ ჩვენს პირობებში მიეცა ამ ბრძოლას საბოლოო დასკვნა. დღეს უკვე მტკიცედ გარკვეულია ე. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედება და სოციალ-პოლიტიკური იდეალები.

ე. ნინოშვილი უდიდესი და პირუთვნელი მხატვარია თავისი ეპოქისა, თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობისა. მთელი მისი მხატვრული შემოქმედების ქვეყანა—ეს არის უშუალოდ განცდილი და ხილული სინამდვილე. ე. ნინოშვილის ყოველ მოთხრობაში მოსჩანს, რომ მას თემა ყოველმხრივ აწონდაწონილი აქვს, ტიპები ღრმად გააზრებული, მოქმედების განვითარება მრავალჯერ შემოწმებული, სოციალური სინამდვილე მთელი თავისი სისრულით ათვისებული.

ე. ნინოშვილი ლიტერატურისა და ხელოვნების სადი უტილიტარული გაგებიდან გამოდიოდა, მათს ამოცანას საზოგადოების სამსახურში და ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლაში ხედავდა. მისი აზრით მხატვრული ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას, იგი უნდა იყოს ცხოვრების წინ წამყვანი: „მწერლობა უნდა ასახავდეს ცხოვრების სინამდვილეს, მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაბეჩავებული მდგომარეობის სინამდვილით აღწერას“ ე. ნინოშვილი ვერ ურიგდებოდა ვერავითარ გადამახინჯებას მხატვრულ ნაწარმოებში. იგი განსაკუთრებით ილაშქრებდა ყალბი პათოსისა და სიტყვიერი ჟონგლიორობის წინააღმდეგ, უარჰყოფდა ნაძალადევ სქემებს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა იგი, როცა თავისი ნაწარმოების გმირების მოქმედებას ყოველთვის უკავშირებდა გარემოს, სინამდვილეს, საზოგადოებრივ პირობებს: „მოთხრობაში მე ვცდილობ შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები...,“—აცხადებს იგი.

ე. ნინოშვილის ესთეტიკის პროგრამული მოთხოვნილება არის აგრეთვე **სიმართლე ხელოვნებაში.** ამ მოთხოვნილებას იგი ხშირად იმეორებდა და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ყოველთვის.

შემდეგი, რაც უნდა აღინიშნოს ე. ნინოშვილის ლიტერატურულ - ესთეტიკურ შეხედულებებში, ეს არის მოთხოვნილება ტიპიზირებული ინდივიდუუმების შექმნისა. იგი ყოველ ნაწარმოებში განსაკუთრებით აფასებს ტიპიურ ხასიათებს. ნაწარმოებთა გმირები არ უნდა წარმოადგენდნენ გამონაკლისს, არადამახასიათებელს, მხატვრის ამოცანაა ანალოგიური ფაქტები შეაჯამოს ერთიან სურათში, მოახდინოს მათი სინთეზი: „ჩემის ფიქრით მოთხრობებში მწერალმა შემთხვევით ფაქტი არასოდეს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობების დედაზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი... უნდა იხატებოდეს მოთხრობაში. თუ შემთხვევით რამეს შეეხება ავტორი, ეს შემთხვევითი... მეორე ხარისხის ადგილს უნდა ჰქონდეს... მართალია ასეთ მოთხრობებს (ე. ი. შემთხვევით ფაქტზე აგებულს. შ. რ.) პუბლიცისტური ხასიათი აქვს და სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მოთხრობების მწერალი ბევრს აგებს ამით,—ამ შემთხვევითი ფაქტების დედააზრად აღების მიზეზია, რომ ეხლანდელი ბელეტრისტული თხზულებანი ძლიერ ადრე ბერდებიან და ჰკარგავენ ფერს“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ე. ნინოშვილის შემოქმედების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს **ეპოქალობა.** მისი მოთხრობების თემატიკა უაღრესად თანადროული იყო. ე. ნინოშვილის მიზანი იყო რაც შეიძლება ფართოდ აესახა არსებული სინამდვილე, საზოგადოებრივი ურთიერთობა.

მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში გადაუხვია ე. ნინოშვილმა თავის მხატვრულ შემოქმედებაში თანადროულ თემატიკას, ეს მოიმოქმედა მან თავის რომანში—„ჯანყი გურიაში“. ამ რომანს საფუძვლად უდევს მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში გურიაში მომხდარი რეალური ფაქტი. ეს ნაწარმოები ავტორმა ააგო დაჩაგრული ყმა-გლეხობის მიერ მემამულეთა და ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელურ აპარატის წინააღმდეგ ბრძოლ[illegible]რედ ეს არის ამ რო[illegible] ე. ნინოშვილმა [illegible] თავი გამომ[illegible]ნტიკულ-კამი[illegible]ლი სტილი, [illegible] „ობიე[illegible] უკერძოებელ“, [illegible]ლი თხრობის [illegible]ტილი, რომე[illegible]ცხალ, აქტიურ, [illegible]ბას გამოსახა[illegible]ხვევითი არ [illegible]ძაფრად აკრი[illegible]ოვე მრავალ[illegible]თვის. ე. ნი[illegible]ბის მწერლებს, [illegible]მდნად არის [illegible] შემოქმედების [illegible]რების მძლავ[illegible] „სისუსტედ“ [illegible] შემოქმედება[illegible]ველებას მოგ[illegible], წარმოადგენს არა მწერლის სისუსტის გამოხატულებას, არამედ ნიჭის სრულიად კანონიერ და შინაგანად შემეცნებულ თვისებას. პუბლიცისტური სიმახვილე, მხატვრული პირდაპირობა იყო ის ახალი ელემენტი, რომელიც შემოიტანა ე. ნინოშვილმა ქართულ ლიტერატურაში. გადაჭარბებული სიტყვიერი მხატვრობა, როგორც თვითმიზანი, სიტყვიერი ორნამენტალიზმი მას არ აინტერესებდა.

ე. ნინოშვილს არ შეეძლო „მიუკერძოებლად“, ოლიმპიური სიმშვიდით დაეხატა ჩაგვრასა და ტანჯვაზე აგებული ცხოვრება. მის მხატვრულ ნაწარმოებთა ყოველ ელემენტში—დაწყებული ეპითეტიდან და გათავებული გმირის ხასიათის გაშლილი გადმოცემით — მოსჩანს ავტორი, მისი სიყვარული და სიძულვილი გმირებისადმი, მოსჩანს პუბლიცისტური პათოსი. იგი სწერდა აცახცახებული, აჩქარებული, მისთვის უცხოა შენელებული ტემპი. იგი ცდილობს ყველაფერი ერთად სთქვას, არ გამორჩეს რაიმე უთქმელი. სწორედ ამიტომ არის, რომ ე. ნინოშვილის კრიტიკულ რეალიზმს ასეთი სიმძაფრე და დინამიურობა ახასიათებს.

ე. ნინოშვილის შემოქმედებითი მეთოდი ტიპიზაციაა. მის შემოქმედებაში მთელი სისრულით გვაქვს მოცემული რეალიზმის ის დამახასიათებელი თვისებები, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ფრ. ენგელსი თავის ცნობილ წერილში ლასალისადმი. ფრ. ენგელსი სწერს: „ჩემის აზრით, რეალიზმი დეტალების სიმართლის გარდა ჰგულისხმობს ტიპიურ გარემოებაში ტიპიური ხასიათების გადმოცემის სისწორეს“. ფ. ენგელსი „დეტალების სიმართლეს“ და „ტიპიურ ხასიათებს“ არ აშორებს „ტიპიურ გარემოებას“, რომელიც მისი აზრით ნიშნავს საზოგადოებრივი პროცესების მთლიანობას. სამივე ამ მომენტის ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე ფრ. ენგელსს არ წარმოუდგენია რეალიზმი. როგორც ნამდვილი შემოქმედი, ე. ნინოშვილი ჰქმნის სახეებს, რომლებშიაც შეერთებულია ინდივიდუალური ტიპიურთან, პიროვნული საზოგადოებრივთან. იგი ყოველთვის გვიხატავს ცოცხალ სახეს. ე. ნინოშვილის შემოქმედებითი სახეები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მკითხველზე, თავისი სასიცოცხლო სიმართლით, კონკრეტულის ტიპიურთან დაკავშირებით. მკითხველი გოგია უიშვილს, სიმონა ძალაძეს, დავით დროიძეს, ტარიელ მკლავაძეს, სპირიდონ მცირიშვილს და სხვ. ითვისებს როგორც ცოცხალ სახეებს. მათი ჩამოყალიბებისას მწერალი ხაზს უსვამს წამყვან დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც გვაძლევს მოვლენის გამახვილებულ დახასიათებას. თავის ძირითად ამოცანად ე. ნინოშვილი ისახავს გმირების სოციალური სახისა და მდგომარეობის გამომჟღავნებას.

ე. ნინოშვილის მოთხრობების ფაბულა გამოირჩევა სისადავით. მწერალი მოხერხებულად იყენებს როგორც მხატვრულ ხერხს სურათების კონტრასტულ დაპირისპირებას, მათ ლაკონიურად შემჭიდროებას და მოკლე დიალოგებში გადმოცემას. ე. ნინოშვილის მთავარი თხრობითი სტრუქტურაა დინამიურობა, მოვლენების სწრაფი განვითარება. მას კარგად ეხერხება დრამატიული მომენტების გამოკვეთა, კოლიზიების შექმნა, სიუჟეტის შერჩევა და მოქმედ პირთა ლოგიკური განვითარება. გმირების დახასიათების მთავარ ელემენტს წარმოადგენს დიალოგი, და მონოლოგი, სადაც გმირები ამჟღავნებენ, თავიანთ მდგომარეობას, შეხედულებებს და სხვ. მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება მარტო ამით, თავის გმირებს გვიჩვენებს მოქმედებაში, ინტერესთა შეჯახებაში.

ე. ნინოშვილის შემოქმედების წმინდა სიტუაციურ მდგომარეობას ახასიათებს ისეთი დაძაბულობა, რომ იგი მკითხველში ყოველთვის იწვევს შეუნელებელ ინტერესს, დაუსრულებელ განცდებს. მწერალი მხატვრული გამოსახვის მთელ სიძლიერეს აღწევს, როდესაც გადმოგვცემს დრამატიულ მომენტებს ადამიანთა ცხოვრებაში. (გავიხსენოთ, მაგალითად: „გოგია უიშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „პარტახი“ და სხვ.).

ე. ნინოშვილი შეგნებულად მიისწრაფოდა ენის სისადავისაკენ—მისი ხალხთან დაახლოვებისათვის. ამ მხრით ე. ნინოშვილის მიერ ჩატარებულ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურისათვის. ე. ნინოშვილმა თავისი მხატვრული ნაწერებით ლიტერატურაში შეიტანა გურული კილო, მისი დამახასიათებელი სიტყვებითა და გამოთქმებით. ე. ნინოშვილის მოთხრობებში, ლიტერატურაში დამკვიდრებულ სიტყვათა გვერდით შევხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ გურიაში იხმარება. ასეთი სიტყვები ჰქმნის ადგილობრივ კოლორიტს, რაც დიდად უწყობს ხელს მოქმედი პირის გარკვეულობასა და პერსონიფიცირებას.

ე. ნინოშვილის ლექსიკაში მრავალია აგრეთვე არაპროვინციული სიტყვებიც, რომლებიც უმთავრესად გურიაში იხმარება. ასეთი სიტყვები ე. ნინოშვილის მეოხებით შევიდა ქართულ ლიტერატურაში, როგორც სიახლე და ენის გამამდიდრებელი. ე. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედების, ამ მხარეს ყურადღება მიაქცია ჩვენმა კრიტიკამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში და აღიარა იგი მწერლის დიდ ღირსებად.

ე. ნინოშვილის მხატვრული შემოქმედებისადმი ინტერესი ჩვენს სინამდვილეში არა თუ არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. თავისუფალი საბჭოთა ხალხი და განსაკუთრებით საბჭოთა ახალგაზრდობა (რომელსაც არ გამოუცდია ძველი ცხოვრების სისასტიკე) ამ ნაწარმოებებით იცნობა კაპიტალისტურ-მემამულური საზოგადოებრივი ურთიერთობის საშინელებას.

დამწუხრებული მშობლები ილარიონ და სალომე დუღაშვილები შვილებით ნუნუთი და ციცოთი იუწყებიან მათი საყვარელი
ზიზიკოს (სულიკო)
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/I 4 საათზე კუკიის სასაფ. გამოსვენება ყოროღლოვის ქ. № 28.

რძალი ქსენია, ძმისწულები მედეა და ლია კახიანები იუწყებიან ძვირფას
ივანე მიხეილის-ძე კახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათუმში 16/I, პიონერების, 11. 4622

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობები ი. ვაშაძე, აკ. სვანაძე, ალ. ომიაძე, ალ. თვარაძე, ალ. ბეჟანიშვილი, ნ. ანთაძე, ალ. სიხარულიძე, გ. შავლიაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ალ. რამიშვილი, ალ. გომელაური იუწყებიან
გიგო ალექსანდრეს-ძე იორდანიშვილის
გარდაცვალებას. 400

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მომუშავეები ი. ყარდაშიანი, გ. თარალაშვილი, ან. მასლაკოვა, ივ. ლორის-მელიქოვი, ს. ნაცვლიშვილი, ქ. იაშვილი, ი. ლოვინოვი, ს. აბაშიძე იუწყებიან სცენის დამსახურებული მოღვაწის
გიგო იორდანიშვილის
გარდაცვალებას. 400

მშობლები ძიკო, ვასასი, დები ნინო, ვერა, ძმები ექვთიმე, ილია კვარაცხელიები, სიძე ევგენ უბირია შვილებით, ბიძა ქრისტეფორე გიორგაძე იუწყებიან
დათიკო ძიკოს-ძე კვარაცხელიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/I ს. ჯგალში. 4627

მეუღლე სარდიონ ალექსის-ძე კაკაბაძე, შვილები ელენე, ნინო, ელპიდა, სიძე გრიგოლ ამაშუკელი იუწყებიან საყვარელ
ელისაბედ იესეს-ასულ კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/I ს. ჩატარაკუხში. 4625

მეუღლე მარგალიტა რუხაძე, დედა კატო რუხაძე, ძმები გრიგოლი, შალვა და ალექსანდრე რუხაძეები იუწყებიან
ალექსანდრე გიორგის-ძე მამალაძის
გარდაცვალებას.

დედა დარო ქმარშვილით, ქეთო, ელენე ბოსტაშვილები, სიმონ, სანდრო ნატროშვილები იუწყებიან ძვირფას
მარგო გიორგის-ასულ ზალდასტანიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რკინიგზის საავადმყოფოდან 15/I 5 ს. 4618

სერგო, დავით, სიმონ, ივანე, ელენე ოჯახებით იუწყებიან მამის
არჩილ (ილია) გიორგის-ძე ჟაფარიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/I ს. ამაშუკეთში (ორჯონიკიძის რ.). 4619

მეუღლე სადიკო, შვილი ანდრო იუწყებიან
ლეონტი ოთარის-ძე მამალაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/I 7 ს. გამოსვენება 18/I 4 ს. არსენალის [illegible], 18. 4620

მეუღლე მარიამ (პოლიკა), ქალიშვილები ლალი, ნინო აბრამიძეები, სიძეები ვალოდია ნუცუბიძე, შიო კაციტაძე იუწყებიან ძვირფას
იოსებ სპირიდონის-ძე აბრამიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ვანში. 4621

მეუღლე კატო, შვილები ვახტო, ნინო, ლენა, სიძეები შალვა თაქთაქიშვილი, შოთა ნემსიწვერიძე, შვილიშვილები ლეილა, ნუკრი იუწყებიან საყვარელ
ივანე მიხეილის-ძე კახიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/I ქ. ბათუმში, პიონერების, 11. 4623

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83. ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1410